



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N20

ქ. მარნეული

14.11.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, აბიდ ოსმანოვი, ქამილ ალიევი, რამიზ გიულმამედოვი, ისმაილ ბაირამოვი, ბესიკ გუჯეჯიანი, არსენ ახვერდიანი, სულეიმან ხალილოვი, მაილ მიქიევი, მამედ მამედოვი, ელხან მუფტიევი, სადრადინ ტალიბოვი, აგილ ფაშაევი.

არ ესწრებოდა:

- ნიკოლოზ გოგოჭური, ლერი მუმლაძე, ზურაბ ჭონიაშვილი, ლევონ აკოპიანი, აგილ მუსტაფაევი, რაგიმ ასკეროვი, გივი ქველაძე, რუსტამ ფაშაევი, აიდა ხაჩიკიანი, მახირ იუსუბოვი, რაფიკ ჯაფაროვი.

სხდომას ესწრებოდა

- მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ აბაზოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „TV-მარნეული“-ს და რადიო მარნეულის წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 08 ნოემბრის N03/12750 წერილის განხილვის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 10 ნოემბრის N03/12895 წერილის განხილვის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 06 ნოემბრის N03/12593 წერილის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N33. 14.11.2017 წ)

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 01 ნოემბრის N03/12408 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე ითხოვა მხარდაჭერა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 9 თვის შედეგების მიხედვით შეფასდეს დადებითად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N93. 14.11.2017 წ).

3-4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე და მეოთხე საკითხებთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 8 ნოემბრის N03/12750 და 2017 წლის 10 ნოემბრის N03/12895 წერილებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე ითხოვა მხარდაჭერა, რათა დამტკიცდეს ა.ა.ი.პ. „სპორტული სკოლა“-ის და ა.ა.ი.პ. სარაგბო კლუბი „მარნეულის არმაზი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N92. 14.11.10.2017 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 6 ნოემბრის N03/12593 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის კ) ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვა მხარდაჭერა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერმა, მერიის შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N21-ში მდებარე სავაჭრო ობიექტთან დადგმული ამკრძალავი საგზაო ნიშანი N3.27 „გაჩერება აკრძალულია“-ს დემონტაჟი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N94. 14.11.2017 წ)

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეოცე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევია